საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# სიღარიბის მაჩვენებლები და ჯინის კოეფიციენტები

## 2021 წელი

27.05.2022
www.geostat.ge

27.05.2022

# სიღარიბის მაჩვენებლები და ჯინის კოეფიციენტები (2021 წელი)

## აბსოლუტური სიღარიბე

2021 წელს საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი) წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 17.5 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი, 2010-2021 წლებში.

დიაგრამა №1

**სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი**
(%)




2021 წელს აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი ქალაქის ტიპის დასახლებებში 2.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 15.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 6.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 21.3 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი ქალაქ-სოფლის მიხედვით, 2010-2021 წლებში.

27.05.2022

დიაგრამა №2

**სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი ქალაქ-სოფლის მიხედვით**

(%)




2021 წელს, სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირებულია მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფში. კერძოდ, 18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მაჩვენებელმა 22.7 პროცენტი შეადგინა (-3.7 პროცენტული პუნქტი), 18-64 წლის ჯგუფში - 17.3 პროცენტი (-3.9 პროცენტული პუნქტი), ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის ჯგუფში - 11.9 პროცენტი (-3.5 პროცენტული პუნქტი).

აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი როგორც ქალებში ისე კაცებში შემცირებულია 3.8 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 17.1 და 17.9 პროცენტს შეადგენს.

27.05.2022

## ფარდობითი სიღარიბე

2021 წელს მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 0.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 18.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 0.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 7.4 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მედიანური მოხმარების 60 პროცენტის და მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, 2010-2021 წლებში.

დიაგრამა №3

**ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები**
(%)



## ჯინის კოეფიციენტები

2021 წელს, წინა წელთან შედარებით, ჯინის კოეფიციენტის მნიშვნელობა მთლიანი შემოსავლების მიხედვით არ შეცვლილა და 0.37-ის ნიშნულზეა, ასევე არ შეცვლილა ჯინის კოეფიციენტის მნიშვნელობა მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით და 0.39-ს შეადგენს. ჯინის კოეფიციენტი შემცირებულია მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით - 0.36-დან - 0.34-მდე, ხოლო მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით უცვლელია და შეადგენს 0.42-ს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ჯინის კოეფიციენტი მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით, 2010-2021 წლებში.

დიაგრამა №4

**ჯინის კოეფიციენტი მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით**




**საკონტაქტო პირები:**

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelasvili@geostat.ge